პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 57 (10451) | ხუთშაბათი, 8 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მუშა ქალებს, კოლმეურნე ქალებს, მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის მოღვაწე ქალებს, ყველა ქალს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მეესალმება და მხურვალედ ულოცავს საბჭოთა ქალებს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

წელს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელები ქალთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ საყოველთაო სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიადი პროგრამა. ყრილობის გადაწყვეტილებანი გამსჭვალულია დიდი ზრუნვით მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მტკიცე რწმენით ჩვენი ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალებისადმი. ხალხის დიდი შემოქმედებითი საქმიანობა, საბჭოთა წყობილების გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე იმის საწინდარია, რომ სოციალიზმი უთუოდ და სავსებით გაიმარჯვებს კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ პარტიის კოლექტიური სიბრძნის გამოხატულებად, პარტიისა, რომელსაც ლენინიზმის დროშით მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ.

სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის მძლავრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც პარტიის XX ყრილობამ დასახა, ახალი დიდი ნაბიჯი იქნება წინ სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად უზრუნველყო ქალისათვის ნამდვილი თავისუფლება, მამაკაცთან თანასწორი უფლებანი და განუსაზღვრელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი საწარმოო, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა საზოგადოებაში ქალები კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილეები არიან. სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა ისეთი პირობები, რომლებშიც სრულად გამოვლინდა ჩვენი სამშობლოს სახელოვანი ქალიშვილების უშრეტი ენერგია, ინიციატივა, აურაცხელი ნიჭი და ტალანტი. მილიონობით ქალი, მუშაობს რა მთელ ხალხთან ერთად ფაბრიკებში, ქარხნებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, სკოლებსა და ინსტიტუტებში, ქმნის უდიდეს მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, დაუცხრომლად იბრძვის შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, აღწევს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის განუხრელ ზრდას, ასრულებს დედის — მოზარდი თაობის აღმზრდელის საპატიო მოვალეობას.

ჩვენს ქვეყანაში ქალთა წინაშე ფართოდ არის ღია სასწავლებლების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კარი. საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ სსრ კავშირში უმაღლესი განათლების მქონე ყველა სპეციალისტთა შორის ქალები შეადგენენ 53 პროცენტს, ექიმთა შორის — 76 პროცენტს, მასწავლებელთა შორის — 70 პროცენტს, იმ მუშაკთა შორის, რომლებიც სამეცნიერო-სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობენ, — 67 პროცენტზე მეტს, 10 ათასამდე ქალს აქვს სამეცნიერო ხარისხი და წოდება.

ასრულებენ რა დიდი ლენინის ანდერძს, საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყველა სახელმწიფო საქმეში. ათიათასობით საბჭოთა ქალი ხელმძღვანელობს სოციალისტურ საწარმოებს, მეთაურობს დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ქალთა დამსახურება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში პოულობს ხალხის ფართო აღიარებას და მას მაღალ შეფასებას აძლევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ჩვენი ხალხი დიდ, გულითად მადლობას ეუბნება საბჭოთა ქალებს — დედებს, რომლებიც თავიანთი გულის სიყვარულსა და სითბოს ანდომებენ კომუნიზმის მშენებელთა მოზარდი თაობის აღზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის 30 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავლის 40 პროცენტით გადიდებასთან ერთად, 7 საათის სამუშაო დღის შემოღებასთან ერთად, გათვალისწინებულია ქალების — დედების შრომისა და ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების დიდი ღონისძიებანი. გაიზრდება შვებულების ხანგრძლივობა ორსულობისა და მშობიარობის გამო, მნიშვნელოვნად გაფართოვდება სამშობიარო სახლების, საბავშვო კონსულტაციების, რძის სამზარეულოების, ბაგებისა და ბაღების ქსელი, შეიქმნება სკოლა-ინტერნატები, გაფართოვდება სასადილოების ქსელი, გადიდდება კვების ნახევარფაბრიკატების და საყოფაცხოვრებო საჭიროების მომსახურების მანქანების წარმოება.

საბჭოთა კავშირში ქალთა მდგომარეობის მაგალითით მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები ხედავენ, რომ ქალთა ნამდვილი განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციის გზით, მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში. ამას მოწმობს აგრეთვე ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის გამოცდილება, სადაც ათ წელიწადში ქალთა ფაქტიური თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გაცილებით მეტია გაკეთებული, ვიდრე ბურჟუაზიული დემოკრატიის პირობებში გაკეთდა ას წელიწადში.

სხვა ვითარებაში ხვდებიან საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მშრომელი ქალები კაპიტალისტურ ქვეყნებში. გამალებული შეიარაღების, აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნის პოლიტიკა, რომელსაც გარკვეული იმპერიალისტური წრეები ახორციელებენ, და ამასთან დაკავშირებული გადასახადების გადიდება, სიძვირის ზრდა, შრომის ინტენსიფიკაციის გაძლიერება, ქრონიკული უმუშევრობის შენარჩუნება მძიმე გავლენას ახდენს მშრომელთა მასების და განსაკუთრებით ქალების მდგომარეობაზე.

კაპიტალისტური ქვეყნების ქალები სულ უფრო აქტიურად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, აგრესიული ძალების მიერ ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ. კაპიტალისტური ქვეყნების ქალები სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ქალებთან ერთად მოითხოვენ ატომური, თერმოატომგულისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას, მოითხოვენ ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას, ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას. ყველა ქვეყნის ქალთა დემოკრატიულ მოძრაობას მორალურად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები. საბჭოთა კავშირის, დიდი ჩინეთისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ქალები თავიანთი წარმატებებით აღფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს ქალებს, უნერგავენ მათ რწმენას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი 8 მარტის დღესასწაულის დღეს საბჭოთა ქალებს უსურვებს შემდგომ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, მრავალმხრივ სახელმწიფოებრივ, საწარმოო, სამეცნიერო და კულტურულ მოღვაწეობაში, ბავშვების, ჩვენი ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები მთელ ხალხთან ერთად თავიანთი თავდადებული შრომით კვლავაც განამტკიცებენ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, გაამრავლებენ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, იქნებიან მთელი მსოფლიოს ქალთა პირველ რიგებში ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. ხალხთა შორის მეგობრობისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა შორის ინტერნაციონალური ურთიერთობის განმტკიცებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დიდება საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირ-დანიის კომუნიკე

საბჭოთა კავშირის მთავრობის მოწვევით დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. კ. ჰანსენი იყო მოსკოვში 1956 წლის 2-6 მარტს.

პრემიერ-მინისტრი ხ. კ. ჰანსენი და განათლების მინისტრი იულიუს ბომჰოლტი, რომელიც პრემიერ-მინისტრს ახლავს მოგზაურობაში, ესაუბრნენ მოსკოვში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიკოიანს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

ამ საუბრებში დანიის მხრივ მონაწილეობდნენ: საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნილს სვენინგსენი, დანიის ელჩი მოსკოვში ალექს მიორკი, დანიის დესპანი ბელგრადში როლფ კიერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე სიგვალდ კრისტენსენი, მოსკოვში საელჩოს მრჩეველი გრეგერს ლარსენი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელი ჰ. ე. ტრანე, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელი ჰანს ს. მელერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ბიორნ ოლსენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბრებში აგრეთვე მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი დანიაში ნ. ვ. სლავინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე მ. გ. გრიბანოვი და დანიაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ა. ს. კაპლინი.

ამ საუბრების დროს, რომლებმაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, წარმოებდა აზრთა გულახდილი გაცვლა საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენენ ინტერესს დანიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის.

ორივე მხრივ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის არ არის საკითხები, რომლებიც ხელს უშლიდეს მეგობრულ ურთიერთობას, და გამოითქვა სურვილი შემდგომ განვითარდეს კეთილი ურთიერთობა, რომელიც უკვე არსებობს ორ ქვეყანას შორის.

დაწვრილებით იქნა განხილული ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის საკითხი. ორივე მხარე დათანხმდა, რომ ვაჭრობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ხალხთა ურთიერთგაგების განვითარებისათვის.

მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ უახლოეს დროში კოპენჰაგენში გაიმართება სავაჭრო მოლაპარაკება საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ ორწლიანი ოქმის დასადებად. დანიის მხარემ განაცხადა, რომ მზად არის მიაწოდოს საბჭოთა კავშირს იმ ოქმის თანახმად, რომელიც უნდა დაიდოს, ტანკერი ან, თუ ეს შეუძლებელი იქნება, მშრალი ტვირთების ორი საზღვაო გემი 10 ათასი ტონა ტვირთამწეობისა და საათში 17-18 მილი სიჩქარისა თვითეული. საბოლოო პასუხს ამ კითხვაზე გასცემენ უახლოეს დროში მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი დაბრუნდება კოპენჰაგენში.

პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. კ. ჰანსენის მოსკოვში ყოფნისას ხელი მოაწერეს დანიისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმებას ბალტიის ზღვაში ადამიანთა გადარჩენის შესახებ. ეს შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს დანიის მხრივ პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. კ. ჰანსენმა, ხოლო საბჭოთა კავშირის მხრივ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, ითვალისწინებს სწრაფი დახმარების უზრუნველყოფას ხომალდის დაღუპვის დროს და სხვ. ბალტიის ზღვაში და ურთიერთ ხელშეწყობას იმ გემებისა და თვითმფრინავების ძებნაში, რომლებიც უგზოუკვლოდ დაიკარგნენ ან რომელთა შესახებ არის შიში, რომ უბედურებას განიცდიან.

მოლაპარაკების დროს აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირისა და დანიის კულტურული ურთიერთობა ამ ბოლო დროს კეთილსასურველად განვითარდება.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ფართო კულტურული თანამშრომლობა მეცნიერების, ხელოვნებისა და განათლების დარგში [illegible] ურთიერთგაგების განმტკიცების საშუალება იქნება. სსრ კავშირის [illegible] მინისტრს ნ. ა. მიხაილოვსა და დანიის განათლების [illegible] შორის მოლაპარაკებაში გამოინახა მთელი რიგი საკ[illegible] ლებელი გადაჭრა. ამრიგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება მოეწყოს დანიასა და საბჭოთა კავშირს შორის სტუდენტების გაცვლა სასწავლად; გათვალისწინებულია, რომ თვითეული მხარე მიიწვევს მეორე მხარის პროფესორებს ან უმაღლესი სკოლის სხვა მასწავლებლებს მეცნიერული მუშაობისათვის ან ლექციების წასაკითხავად; დასახულია უფრო ფართო თანამშრომლობა მეცნიერების დარგში.

მხარეები შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ ტურიზმის განვითარებას ორ ქვეყანას შორის.

მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოეს მომავალში კოპენჰაგენში გაიმართოს დანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება, რათა მოაწესრიგონ ზოგიერთი ურთიერთ პრეტენზია ანაზღაურების შესახებ, რაც დაკავშირებულია ბალტიისპირა რესპუბლიკების შესვლასთან საბჭოთა კავშირში.

დანიის პრემიერ-მინისტრმა აღძრა საკითხი, რომ საბჭოთა კავშირიდან დანიაში წასვლის ნება დაერთოს დანიელ მოქალაქეებს, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ ომის დროიდან. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ მზად არის მისცეს წასვლის ნებართვა ყველა ამ მოქალაქეს იმ პირობით, რომ ისინი თვითონ მოისურვებენ საბჭოთა კავშირის დატოვებას.

აზრთა გაცვლის დროს ზოგადად განხილულ იქნა საკითხი, რა დარგებში შეიძლება განხორციელდეს ორი ქვეყნის უფრო ახლო კონტაქტი მომავალში. ამასთან ერთსულოვნად აღიარეს იმის მნიშვნელობა, რომ განვითარდეს პირადი კონტაქტები ურთიერთმოგზაურობის გზით.

სწორედ ასევე მიღწეულია თანხმობა იმის შესახებ, რომ ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა დიდმნიშვნელოვანი რგოლია დანიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთგაგების გაღრმავების ღონისძიებებში.

საუბრების დროს შეთანხმდნენ, რომ ყველა ქვეყანას შორის ურთიერთობის გაფართოება არსებითი წვლილი იქნება ქვეყნებს შორის გაგების განვითარების საქმეში, რაც მტკიცე მშვიდობის ერთ-ერთი წანამძღვარია.

მხარეები სავსებით შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფოების ურთიერთობას საფუძვლად უნდა ედოს ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემა, თავდაუსხმელობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

მხარეებმა გამოთქვეს მისწრაფება ეცადონ, რომ გამონახონ ისეთი მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზები, როგორიც არის ყველა ხალხის ეფექტიანი უშიშროების უზრუნველყოფა, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში საჭირო ნდობის დამყარება.

ზოგად პოლიტიკურ საკითხებზე მომხდარ აზრთა გაცვლას, მიუხედავად შეხედულებათა განსხვავებისა, მოჰყვა ის, რომ თვითეულმა მხარემ უფრო ღრმად გაიგო მეორე მხარის შეხედულებები და ეს, უეჭველია, ხელს შეუწყობს დანიისა და საბჭოთა კავშირის კეთილი ურთიერთობის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი, რომ შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის გზით.

მოსკოვში ყოფნის შემდეგ პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. კ. ჰანსენი მეუღლითურთ და განათლების მინისტრი იულიუს ბომჰოლტი მეუღლითურთ თანმხლებ პირებთან ერთად რამდენიმე დღეს იმოგზაურებენ საბჭოთა კავშირში, ესტუმრებიან კიევს, თბილისს, სტალინგრადსა და ლენინგრადს. განზრახული აქვთ დანიაში დაბრუნდნენ 1956 წლის 14 მარტს.

1956 წლის 6 მარტი.

საბჭოთა კავშირ-დანიის დოკუმენტების ხელმოწერა

6 მარტს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-დანიის დოკუმენტებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და დანიის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. კ. ჰანსენმა ინიციალებით მოაწერეს ხელი საბჭოთა კავშირ-დანიის კომუნიკეს.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ხ. კ. ჰანსენმა ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და დანიის მთავრობის შეთანხმებას ბალტიის ზღვაში ადამიანთა გადარჩენის დროს თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-დანიის დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ: ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სრულუფლებიანი ელჩი დანიაში ნ. ვ. სლავინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე მ. გ. გრიბანოვი და სხვა ოფიციალური პირები.

დანიის მხრივ დაესწრნენ: განათლების მინისტრი ი. ბომჰოლტი, დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. მიორკი, დანიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში რ. კიერი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. სვენინგსენი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ს. ა. კრისტენსენი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ბ. ოლსენი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომელი ჰ. ე. ტრანე, პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი ჰ. ს. მელერი. (საკდესი).

დარბაზობა ნ. ა. ბულგანინთან

დანიის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. კ. ჰანსენის პატივსაცემად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 6 მარტს კრემლში დარბაზობა გამართა დანიის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. კ. ჰანსენის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. კ. ჰანსენი მეუღლითურთ, დანიის განათლების მინისტრი ი. ბომჰოლტი მეუღლითურთ, დანიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში რ. კიერი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. სვენინგსენი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ს. ა. კრისტენსენი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ბ. ოლსენი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომელი ჰ. ე. ტრანე.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პ. ტარასოვი და ი. ი. პალეტკისი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. კუჩერენკო, ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. კომაროვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. ასნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები და სხვა ოფიციალური პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მსახიობები და მწერლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყვნენ დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. მიორკი, საელჩოს თანამშრომლები, აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობაზე იყო აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის აღმასრულებელი მდივანი გუმნარ მიურდალი.

დარბაზობის დროს გაიმართა კონცერტი.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მოხდა სიტყვების გაცვლა. (საკდესი).

მარშალი ჯუ დე თბილისში

7 მარტს ერევნიდან თბილისში ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე და მისი თანმხლები პირები, რომლებიც საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობენ.

აეროპორტი მორთულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. მოძმე ჩინეთის წარმოგზავნილთა შესახვედრად აქ მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. დ. ჩუბინიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანები მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. შუღლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. გ. ქერქაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ა. სეხნიაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ბ. ჯანელიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ნ. ინაური, ნ. ი. მუსხელიშვილი, ა. ლ. გუნია, ქ. ბ. ლომთათიძე, მინისტრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.

დღის 4 საათია. ეშვება ერთი და მალე მეორე თვითმფრინავი. შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლებს. მეგობრული ხელის ჩამორთმევა. პიონერებმა ძვირფას სტუმრებს ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

ჩამოსვლის დღეს საღამოს მარშალი ჯუ დე და მისი თანმხლები პირები ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ ქართული მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის კონცერტს. მაყურებლები და მსახიობები მხურვალედ მიესალმნენ სტუმრებს.

კონცერტს დაესწრნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. (საქდესი).

დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი კომუნისტური პარტიის ისტორიაში

რკპ (ბ) X ყრილობის გახსნის 35 წლისთავისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, პარტიული რიგების ერთიანობის განმტკიცებისათვის, მშრომელთა უფართოეს მასებთან პარტიის კავშირის გაძლიერებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის მისი ბრძოლის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რკპ (ბ) მეათე ყრილობას, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

ვ. ი. ლენინი გამოვიდა სიტყვით ყრილობის გახსნისას, გააკეთა მოხსენებანი დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხზე: ანგარიში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ, გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ, პარტიის ერთიანობისა და ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახრის შესახებ. ლენინი ყრილობაზე გამოვიდა აგრეთვე სიტყვებით: პროფესიული კავშირების შესახებ, სათბობის საკითხის შესახებ, ყრილობის დახურვისას. მან მოამზადა ყრილობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა პროექტები.

რკპ (ბ) X ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ძნელ მომენტში. ოთხი წლის იმპერიალისტური ომის, აგრეთვე უცხოელთა სამი წლის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ღრმა სამეურნეო ნგრევას განიცდიდა. თავს იჩენდა დაღლილობა მშრომელთა ფართო მასებისა, რომლებიც მოქანცა განუწყვეტელმა ბრძოლამ მრავალრიცხოვანი შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ. გლეხობას აშკარად ემჩნეოდა, რომ იგი უკმაყოფილო იყო სასურსათო გაწერით. შიმშილისა და დაღლილობის ნიადაგზე უკმაყოფილებამ თავი იჩინა მუშების ნაწილშიც.

მშრომელთა მტრები ცდილობდნენ ქვეყნის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა იმისათვის გამოეყენებინათ, რომ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა წყობილებისათვის. ისინი აწყობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებს, ამბოხებებს. კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ამ პერიოდში გამწვავდა, გავლენას ახდენდა მდგომარეობაზე პარტიაში, იწვევდა მერყევ ელემენტებს შორის ყოყმანს, ფრაქციებისა და ანტიპარტიული დაჯგუფებების შექმნის ცდებს. ანტიპარტიული ელემენტები ცდილობდნენ სიძნელეები გამოეყენებინათ პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოსათხრელად, რათა ამით ძირი გამოეთხარათ მუშათა კლასის დიქტატურისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის.

სამოქალაქო ომის წლებში ჩამოყალიბდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. როცა ომი დამთავრდა და მშვიდობიან მშენებლობაზე გადავედით, პარტიისათვის აუცილებელი გახდა გამოემუშავებინა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ახალი ფორმა. ეს ფორმა დიდმა ლენინმა გამონახა. ამუშავებდა რა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს, იგი ღრმად სწავლობდა მდგომარეობას სოფლად, გლეხების წერილებს, ხშირად ესაუბრებოდა მათ. თავის მოხსენებაში პარტიის X ყრილობაზე „გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ“ ლენინმა დაასაბუთა, რომ აუცილებელი იყო გადასვლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომელიც მიმართული იქნებოდა სოციალიზმის საძირკვლის აშენებისაკენ, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის ეკონომიური საფუძვლის განმტკიცების გზით.

პარტიის მეათე ყრილობამ ლენინის წინადადებით მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ. ეს იყო პარტიის პოლიტიკის მკვეთრი მობრუნება, რომელშიც გამოვლინდა ლენინის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა. მისი უნარი — ყოველნაირ პირობებში, რა რთულიც უნდა ყოფილიყო ისინი, ეპოვნა საკითხის სწორი გადაჭრა, გაერკვია ბრძოლის მიზნები და ამოცანები, დაესახა წინსვლის სწორი გზები. ახალი ეკონომიური პოლიტიკა იყო პროლეტარული სახელმწიფოს ერთადერთი სწორი პოლიტიკა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში. იგი შეესაბამებოდა ხალხის მასების საარსებო ინტერესებს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების კანონებს.

ყრილობაზე შეჯამებულ იქნა დისკუსია პროფკავშირების შესახებ, რომელიც პარტიას თავს მოახვიეს ანტიპარტიულმა ელემენტებმა, და მოწონებულ იქნა ლენინური პლატფორმა პროფკავშირების, როგორც კომუნიზმის სკოლის, როგორც ძირითადი ბერკეტის როლისა და ამოცანების შესახებ, რომლის შემუშავებაც პარტია უკავშირდება მუშათა კლასის მილიონიან მასებს.

ყრილობის წინ, თვით ყრილობაზე მოხსენებასა და გამოსვლებში პარტიის ერთიანობის საკითხის შესახებ ლენინი მთელი თავისი სიმტკიცითა და შეურიგებლობით გამოვიდა ტროცკისტების, „მუშათა ოპოზიციის“, „დემოკრატიული ცენტრალისტების“ წინააღმდეგ. მან გვიჩვენა, რომ ყველა ამ ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობა არსებითად მიმართული იყო საბჭოთა სახელმწიფოში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპის, წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ აუცილებელია გადამწყვეტი ბრძოლა ფრაქციულობის წინააღმდეგ, პარტიის ერთიანობისათვის, ვინაიდან ამ ერთიანობის ოდნავი შესუსტება ნიშნავდა უშუალო დახმარებას გარეშე და შინაური მტრებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ კაპიტალისტური წყობილება ჩვენს ქვეყანაში. მაქსიმალური დარაზმულობა, გამძლეობა და დისციპლინა პროლეტარული პარტიის შიგნით ლენინს მიაჩნდა პარტიის ძალისა და ძლიერების წყაროდ. იგი ამბობდა, რომ ჩვენი საქმის წარმატებისათვის საჭიროა პარტიის დიდი დარაზმულობა, შეწყობილი მუშაობა, ერთიანი ნებისყოფა.

რკპ (ბ) X ყრილობამ მიიღო ლენინის ცნობილი რეზოლუცია „პარტიის ერთიანობის შესახებ“, რომელშიც ნაჩვენებია პარტიული რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის უზრუნველყოფის, მკაცრი პარტიული დისციპლინის განხორციელების, შინაპარტიული დემოკრატიის გაშლის, კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური ფრონტის ამაღლების გზები და საშუალებები. ყრილობის რეზოლუციაში ჩაიწერა ლენინური ორგანიზაციული პრინციპი, რომლის თანახმად პარტია წარმოადგენს ნებისყოფის ერთიანობას, რაც შეუთავსებელია ფრაქციების არსებობასთან.

ყრილობამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაშლილიყო ყველა ფრაქცია და დაჯგუფება პარტიის შიგნით და ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოსთხოვა მკაცრად ედევნებინათ თვალყური, რომ არ ყოფილიყო დაშვებული რაიმე ფრაქციული გამოსვლა. ყრილობის ამ დადგენილების შეუსრულებლობას მოჰყვებოდა პარტიიდან უეჭველად დადაუყოვნებლივ გარიცხვა, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრების მიმართ — მათი კანდიდატებად გადაყვანა და თვით უკიდურესი ღონისძიება — პარტიიდან გარიცხვა.

რკპ (ბ) X ყრილობამ მიიღო აგრეთვე ლენინის მიერ წარდგენილი რეზოლუცია „სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში“. ამ რეზოლუციაში ყრილობამ გაიკიცხა ეგრეთწოდებული „მუშათა ოპოზიცია“ და კომუნისტურ პარტიაში ყოფნასთან შეუთავსებლად ცნო მისი შეხედულებების პროპაგანდა.

ყრილობამ განსაკუთრებული ძალით აღნიშნა პარტიაში ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის დიდი მნიშვნელობა. რეზოლუციაში პარტიული მშენებლობის საკითხების შესახებ ნათქვამი იყო, რომ პარტიული მუშაობის ძირითად მეთოდს წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის ფართოდ განხილვის, მათ შესახებ დისკუსიის გამართვის მეთოდი, შინაპარტიული კრიტიკის სრული თავისუფლების დაცვით, საერთო პარტიულ გადაწყვეტილებათა კოლექტიური გამომუშავების მეთოდი.

რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებანი პარტიის ერთიანობისა და პარტიული მშენებლობის საკითხების შესახებ იყო სახელმძღვანელო დირექტივა მთელი პარტიისათვის, მისი ყველა ორგანიზაციისათვის პარტიული რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის შენარჩუნების საქმეში. ისინი პარტიულ მასებს მოუწოდებდნენ თანმიმდევრულად განეხორციელებინათ პარტიული ცხოვრების ნორმები, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები.

პარტიული რიგების ლენინური ერთიანობა იყო ჩვენი ხალხის ყველა იმ ისტორიული გამარჯვების გადამწყვეტი პირობა, რომლებიც მიღწეულ იქნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები თავგამოდებით ცდილობდნენ შიგნიდან გამოეთხარათ ძირი პარტიული რიგების ლენინური ერთიანობისათვის — და ყველა მათგანს კისერი მოტეხა ამ ერთიანობამ, — აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობისადმი. ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ არავითარი მტერი, არავითარი სიძნელე საშიში არ არის კომუნისტური პარტიისათვის, როცა იგი ერთიანია. მას შეუძლია ყველა ამოცანის გადაჭრა, როცა იგი გამოდის როგორც დარაზმული ძალა, რომელმაც არ იცის შიში ბრძოლაში, მერყეობა თავისი ხაზის გატარებაში, უკანდახევა სიძნელეთა წინაშე. ამას მკაფიოდ ადასტურებს კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობიდან XX ყრილობამდე განვლილ პერიოდში. ეს პერიოდი პარტიის მეგრ გაწეული მუშაობის მოცულობით, იმ მოვლენების მნიშვნელობით, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში მოხდა ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ, — ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პერიოდია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მისი ბრძოლის ისტორიაში.

ამ პერიოდის განმავლობაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებები, რომ პარტიული მასებისათვის ფართოდ ყოფილიყო განმარტებული ისტორიაში ხალხის მასებისა და პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგება. ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით გამოვიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის და რომლის გავრცელება იწვევდა ხალხის მასების როლის და პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის შეუფასებლობას, ხშირად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წმიდად ასრულებდა ლენინის მითითებებს პარტიული რიგების ერთიანობის განმტკიცების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით ამხილა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერი, იმპერიალისტების პირწავარდნილი აგენტი — ბერია და მისი თანამზრახველები, ულმობლად აღკვეთა მათი შეთქმულებითი საქმიანობა. ამით ახალი მძლავრი ლახვარი ჩაეცა იმპერიალისტური აგენტურის ხრიკებს, მათს გეგმებს, რომელთა მიზანია კომუნისტური პარტიის ლენინური ერთიანობის დანგრევა.

ყოველივე ამის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა პარტიის ხელმძღვანელი, გარდამქმნელი როლი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, განმტკიცდა პარტიული რიგების მონოლითური ერთიანობა. კომუნისტური პარტია კიდევ უფრო დარაზმული და ერთიანი გახდა. „ახლა ჩვენი პარტია უფრო ერთიანია, ვიდრე ოდესმე, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XX ყრილობისადმი,—იგი მჭიდროდ დარაზმულია ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა იმ გზით, რომელიც დიდმა ლენინმა გვიჩვენა“.

პარტიის გაზრდილი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობის წყაროა მთელი საბჭოთა საზოგადოების უოლვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, კომუნისტური პარტიის ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებისადმი.

ჩვენი პარტიის რიგების ურღვევი ერთიანობა, პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიადი ერთობა კომუნიზმის სრული გამარჯვების საწინდარია.

ი. პეტროვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დუაიტ დ. ეიზენჰაუერს შორის წერილების ვაცვლის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, 1955 წლის 19 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დუაიტ დ. ეიზენჰაუერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მოსაზრებანი განიარაღების პრობლემის შესახებ იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა შეიტანა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო ინფორმაციის გაცვლისა და ორივე ქვეყნის ტერიტორიების ურთიერთაეროფოტოგადაღების შესახებ. ეს წერილი საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა 1955 წლის 25 სექტემბერს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 5 მარტს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჩარლზ ე. ბოლენი, რომელმაც გადასცა მას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერის 1956 წლის 1 მარტის წერილი, რომელიც ნ. ა. ბულგანინს 1955 წლის 19 სექტემბრის წერილის პასუხია.

ქვემოთ ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერის წერილის ტექსტი:

„მის აღმატებულებას ნიკოლოზ ა. ბულგანინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

1956 წლის 1 მარტი.

პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ,

იმის შესაბამისად, რაც გაცნობეთ 11 ოქტომბრის წერილში, ახლა გულდასმით გავარჩიე თქვენი 19 სექტემბრის წერილი განიარაღების მისაღები სისტემის შექმნის საკითხზე, რომელიც ჩვენ ჟენევაში განვიხილეთ.

კმაყოფილებით აღვნიშნე, რომ თქვენ დათანხმდით, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთ გარანტიათა უზრუნველყოფას უეცარი თავდასხმის წინააღმდეგ, აგრეთვე, რომ სასურველია შეიარაღების ურთიერთ შემცირება. თქვენ აღნიშნავთ, რომ გულწრფელია ჩემი სურვილი გამოვნახოთ საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის დიდმნიშვნელოვანი პრობლემის მოწესრიგების გზები.

მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, შემდეგ კითხვებს აყენებთ ჩემი ჟენევის წინადადების შესახებ. თქვენ კითხულობთ, მოჰყვება თუ არა ჩემი წინადადების მიღებას შეიარაღების შემცირება, და ეჭვს გამოთქვამთ ამის გამო. თქვენ გამოთქვამთ აზრს, რომ საჭიროა ინსპექცია გავრცელდეს სხვა ქვეყნებზე. თქვენ აყენებთ სხვა საკითხებს, რომლებიც ეხება ატომგულის იარაღს. დარწმუნებული ვარ, რომ თუ მივიღეთ ჩემი ჟენევის წინადადება და ამასთან თქვენი წინადადება სახმელეთო საინსპექციო პოსტების შესახებ, ეს შეამცირებს უეცარი თავდასხმის საფრთხეს, და ნამდვილად გამოიწვევს შეიარაღების შემცირებას, დაძაბულობის შენელებას და გააუმჯობესებს მტკიცე მშვიდობის პერსპექტივებს. შეერთებულ შტატებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ ამ მიზნებს. ჩემი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში მზად იქნება ხელი შეუწყოს ამ მტკიცე გადაწყვეტილების განხორციელების პროგრამის შემუშავების საქმეს ჩვენი მთავრობების მხრივ შესაბამის ღონისძიებათა მიღების გზით. ჩემი აზრით, ჩვენი ღონისძიებების მიზანი განსაკუთრებით ის უნდა იყოს, რომ კონტროლს დავუქვემდებაროთ ატომგულის საფრთხე. მიაჩნიათ რა დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად ამ მიზნისაკენ და გულისხმობენ რა, რომ ჩვენი საჰაერო და სახმელეთო საინსპექციო სისტემა დაეკმაყოფილებლად იმოქმედებს, შეერთებული შტატები მზად იქნებიან შეიმუშაონ სხვა სახელმწიფოებთან ერთად მისაღები და გარანტირებული ღონისძიებანი, რათა ხლეჩადი მასალების მომავალი წარმოება, სადაც უნდა იყოს, აღარ იქნეს გამოყენებული იარაღის მარაგის შესაკეთებად. ამას შეიძლება შევუხამოთ ჩემი 1953 წლის 8 დეკემბრის წინადადება „ახლავე შევუდგეთ და მომავალშიც შევიტანოთ ერთობლივი წვლილი“ ატომის საერთაშორისო სააგენტოში ნორმალური ურანისა და ხლეჩადი მასალების არსებული მარაგიდან. ეს ღონისძიებანი, თუ ისინი ჯეროვნად განხორციელდება, შეცვლიან ატომგულის იარაღის მუდმივი გადიდების ახლანდელ ტენდენციას, რომელიც ტვირთად აწევს მსოფლიოს. ჩემი საბოლოო იმედი ის არის, რომ ხლეჩადი მასალების მთელი წარმოება ყველგან მსოფლიოში მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოვიყენოთ.

მე ვითვალისწინებ სიძნელეებს ამ მხრივ, რომლებიც აღნიშნულია თქვენი მთავრობის 1955 წლის 10 მაისის წინადადებებში, სიძნელეებს, რომლებიც წარმოიშობა იმის გამო, რომ არის საერთაშორისო კონტროლისათვის გვერდის ავლისა და ატომური და წყალბადის იარაღის ფარული წარმოების მოწყობის შესაძლებლობა. მაგრამ საფრთხე, რომელიც წარმოიშობოდა იმ შემთხვევაში, თუ ვერ უზრუნველვყოფდით კონტროლს, აუცილებელს ხდის იმას, რომ დავძლიოთ არსებული სიძნელენი, შევიმუშაოთ და განვახორციელოთ გარანტიების ეფექტიანი სისტემა. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ორივე მხარე გამოიჩენს ნამდვილ მისწრაფებას, შეეძლებთ წარმატება მოვიპოვოთ ამ საქმეში.

საერთოდ მიმაჩნია, რომ განიარაღებას უნდა ვესწრაფოდეთ ძირითადად, თუმცა არა მხოლოდ და მხოლოდ, შეიარაღების შეზღუდვის და არა ადამიანთა შემადგენლობის შეზღუდვის თვალსაზრისით. პირველი უფრო ექვემდებარება მეთვალყურეობას, მოწესრიგებასა და კონტროლს, ვიდრე უკანასკნელი. მე ვითვალისწინებ, რომ ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის დროს და განსაკუთრებით იმის გამო, რომ ნამდვილი მშვიდობა არ არის შორეულ აღმოსავლეთში, ამჟამად შეიძლება ძნელი აღმოჩნდეს შეთანხმება შეიარაღებული ძალების საერთო დონის შემცირების შესახებ. მაგრამ შესაძლებელი უნდა აღმოჩნდეს, რომ უკვე ახლა შევთანხმდეთ მასტაბილიზებელი ხასიათის ღონისძიებებზე, რომლებიც შეეხება ძირითად სახეობათა შეიარაღების კონტროლსა და შეზღუდვას სათანადო გარანტიების დაქვემით. ეს ღონისძიებანი იქნება განუყოფელი ნაწილი ყოვლისმომცველი სისტემისა, რომელიც საჭიროა მონაწილე სახელმწიფოთა უშიშროების უზრუნველყოფად.

თუ ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი შეერთებულ სამეფოსთან, საფრანგეთთან და კანადასთან, ქვეკომიტეტში ჩვენს კოლეგებთან, ერთად შეძლებენ მიაღწიონ ძირითად შეთანხმებას, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა სახელმწიფოებიც მოისურვებენ შეუერთდნენ ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის დადებითი მნიშვნელობის მქონედ. ამერიკის შეერთებული შტატები გულისხმობენ, რომ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა თანხმობით მეთვალყურეობის შეთანხმებული სისტემა სათანადოდ და ეფექტიანად იქნება გამოყენებული იმ შეიარაღებული ძალებისა და საშუალებების მიმართ, რომლებიც ჩვენს ორივე ქვეყანას მოუპოვებია თავიანთ საზღვრებს გარეთ.

ასეთი პროგრამის ადრეულ ეტაპებზე როგორც სსრ კავშირს, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები ეყოლებათ, ამასთან ექნებათ ატომგულის იარაღის მარაგიც. მე მინდა ნათლად აღვნიშნო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს თავის მხრივ კვლავ ეყოლებათ ასეთი ძალები არა აგრესიისათვის და არა ვიწრო ეროვნული მიზნების მისაღწევად, არამედ როგორც წვლილი საყოველთაო სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ამ გარდამავალ პერიოდში. მივესალმები ცნობას, რომ თქვენ დიდ ყურადღებას აქცევთ ამ საკითხს, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ორი სახელმწიფოს და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხალხებისათვის. ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ თქვენ და თქვენი ქვეყნის ხალხი, რომ შეერთებული შტატების მიზანი კვლავ არის სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა. იმედი მაქვს, რომ განიარაღების ქვეკომიტეტის მომავალი სესია მოგვცემს შესაძლებლობას ნამდვილად წავიწიოთ წინ ამ მიზნისაკენ.

მე აგრეთვე მსურს ვთხოვო თქვენ, ამ შესაძლებლობით, რათა დავადასტურო, რომ მივიღე თქვენი 1 თებერვლის წერილი ჩემი 28 იანვრის წერილის პასუხად. ჩემი თვალსაზრისი საერთოდ ისეთივეა, როგორც იგი ჩამოყალიბებულია აღნიშნულ წერილში. მაგრამ მე კვლავაც განვაგრძობ ამ საკითხის შესწავლას, რათა გამოვარკვიო, შესაძლებელია თუ არა რაიმე ახალი სასარგებლო ნაბიჯი გადაიდგას ჩვენს ურთიერთობაში. უფრო გვიან, შესაძლოა, კვლავ დაგიკავშირდეთ ამ საკითხზე.

გულწრფელად თქვენი დუაიტ დ. ეიზენჰაუერი“

თბილისში ჩამოვიდა ვენსან ორიოლი

7 მარტს თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ბ-ნი ვენსან ორიოლი მეუღლითურთ; იგი საბჭოთა კავშირში იმყოფება როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პირადი სტუმარი.

თბილისის აეროპორტში სტუმარს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ა. ჯავახიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, საზოგადო მოღვაწეები, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.

თბილისში ჩამოვიდნენ აგრეთვე ბ-ნ ვენსან ორიოლის თანმხლები პირები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე ი. ა. კოროლიოვი, სსრ კავშირის საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ჟ. ლალუა.

დასვენების შემდეგ ბ-ნმა ვენსან ორიოლმა ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. დ. ჩუბინიძეს.

სტუმრებმა გაისეირნეს ქალაქში. შემდეგ ბ-ნი ვენსან ორიოლი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილის ა. თ. გორკინისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვ. დ. კუპრაძის თანხლებით ქალაქ რუსთავს გაემგზავრა. აქ იგი გაეცნო სტალინის სახელობის ამონიუმის ქარხნის ასეთი ძალები არა აგრესიისათვის და არა ვიწრო ეროვნული მიზნების მისაღწევად, არამედ როგორც წვლილი საყოველთაო სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ამ გარდამავალ პერიოდში. მივესალმები ცნობას, რომ თქვენ დიდ ყურადღებას აქცევთ ამ საკითხს, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ორი სახელმწიფოს და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხალხებისათვის. ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ თქვენ და თქვენი ქვეყნის ხალხი, რომ შეერთებული შტატების მიზანი კვლავ არის სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა. იმედი მაქვს, რომ განიარაღების ქვეკომიტეტის მომავალი სესია მოგვცემს შესაძლებლობას ნამდვილად წავიწიოთ წინ ამ მიზნისაკენ.

მე აგრეთვე მსურს ვთხოვო თქვენ, ამ შესაძლებლობით, რათა დავადასტურო, რომ მივიღე თქვენი 1 თებერვლის წერილი ჩემი 28 იანვრის წერილის პასუხად. ჩემი თვალსაზრისი საერთოდ ისეთივეა, როგორც იგი ჩამოყალიბებულია აღნიშნულ წერილში. მაგრამ მე კვლავაც განვაგრძობ ამ საკითხის შესწავლას, რათა გამოვარკვიო, შესაძლებელია თუ არა რაიმე ახალი სასარგებლო ნაბიჯი გადაიდგას ჩვენს ურთიერთობაში. უფრო გვიან, შესაძლოა, კვლავ დაგიკავშირდეთ ამ საკითხზე.

გულწრფელად თქვენი დუაიტ დ. ეიზენჰაუერი“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ დარბაზობა გამართა ბ-ნ ვენსან ორიოლის პატივსაცემად

7 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ დარბაზობა გამართა საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ბ-ნ ვენსან ორიოლის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ბ-ნი ვენსან ორიოლი მეუღლითურთ, სრულუფლებიანი მინისტრი, სსრ კავშირში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ჟ. ლალუა.

დარბაზობაზე იყვნენ ბ-ნ ვენსან ორიოლის თანმხლებნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე ი. ა. კოროლიოვი.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე ი. ა. კოროლიოვი.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე მ. მ. ელეაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. ჭირაქაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, მინისტრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობამ გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

ყიზღარის საძოვრებზე ამ დღეებში

სამი ათასამდე ქართველი მწყემსი ამყოფება ამჟამად კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე.

მკაცრი ზამთრის მიუხედავად მეცხვარეები სანიმუშოდ უვლიან პირუტყვს. უკვე მასობრივად გაჩაღდა დოლი. პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ, რათა გაზაფხულზე შშობლიურ სოფლებს ახალი გამარჯვებებით დაუბრუნდნენ.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა გროზნოს ოლქის სოფელ ჩორნი რინოკს, სადაც მოთავსებულია ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს საზამთრო საძოვრების სამმართველო.

საძოვრების სამმართველოს უფროსმა ზოოტექნიკოსმა ამხ. რ. სკანგელმა კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში კასპიის ზღვის სანაპიროებზე მძვინვარებდა ქარბუქი, იყო ძლიერი ყინვები. განსაკუთრებით მკაცრი ამინდი იდგა ბარუზიაკს რაიონში, მაგრამ ბუნების სტიქიამ ვერ შეაკრთო ქართველი მწყემსები, რომლებიც კარგად მოემზადნენ ზოლისათვის.

ამჟამად ნოდაეთში თბილი დღეებია, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას რადი გვაძლევს. შესაძლებელია ამინდის გაუარესება. ყოველი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად დამატებით მოვიმარაგეთ თავი და კონცენტრირებ

ფრეზნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ქალები — კომუნიზმის აქტიური მშენებლები

60 წელი წარმოებაში

საამქროში შესვლისას ყურადღებას იპყრობს სანდომიანი სახის სათვალიანი მოხუცი ქალი, რომელიც მიუხედავად ხნოვანებისა სწრაფად და მარჯვედ მუშაობს. ეს არის ძველისძველი მუშა ანა მარქარის ასული ათაბეგოვა. მან თავისი შრომითი საქმიანობა დაიწყო სამოცი წლის წინათ, 14 წლის გოგონამ, ადელხანოვის ფაბრიკაში და იქ გაატარა მთელი თავისი ახალგაზრდობა — 21 წელიწადი. 1917 წელს ანა სამუშაოდ გადავიდა ნინოშვილის ქუჩაზე ახლად გახსნილ კერძო სამკერვალო სახელოსნოში. აქ მუშაობის დროს იგი ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც დაპატიმრებულიც იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახელოსნო, სადაც ანა მუშაობდა, გადაკეთდა პირველ სამკერვალო ფაბრიკად და მას შემდეგ იგი განუწყვეტლივ დღემდე აქ მუშაობს. 1932 წელს წარმოებაში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მას საქართველოს სსრ ცაკის მიერ მინიჭებული აქვს შრომის გმირის წოდება.

ანა მარქარის ასულს, მიუხედავად ხნოვანებისა, არ უნდა თავი დაანებოს საყვარელ პროფესიას და იგი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს ფაბრიკაში. ამჟამად ის პალტოების შეკერვის ორ რთულ ოპერაციას ასრულებს და ყოველდღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ანაღდებს, თავის ოსტატობას დაუზარბლად გადასცემს ახალგაზრდა მუშებს, მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ დღეებში თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა აღნიშნა მოწინავე მკერავის ა. ათაბეგოვას წარმოებაში განუწყვეტელი მუშაობის 60 წლისთავი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა თ. სხვიტარიძემ. ა. ათაბეგოვას წარმოებაში უმწიკვლო მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფაბრიკის დირექტორმა გ. ხომერიკმა. იუბილარს მიესალმნენ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. დუნენენკო, სამინისტროს განყოფილების უფროსი მ. ქართველიშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანი ი. შევარდნაძე. იუბილარისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს ცვლის ოსტატმა ვალიდა ლეგაშვილმა და მუშამ სიდონია ზაკაიძემ. მუშებმა ანას ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ა. ათაბეგოვამ ფაბრიკის კოლექტივს მადლობა გადაუხადა მისი შრომის ასეთი დაფასებისათვის და პირობა დადო, რომ დაუდალავად იშრომებს მეექვსე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: ა. ათაბეგოვა მუშაობის დროს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ერთი მრავალთაგანი

როცა გორის სასელეკციო სადგურის ერთ-ერთმა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ლაბორატორიის კარი შეაღო, მის გულს ჯერ კიდევ ღრღნიდა ეკვი, ვაი თუ დაპირების შესრულება ვერ მოასწრეს და რემმა მოუთმენლობამ ტყუილად შემარცხვინოსო. მაგრამ უმალ გულზე მოეშვა. ლაბორატორიის უფროსის მაგიდასთან მჯდომი თეთრხალათიანი ქალი სტუმარს ღიმილით მიეგება.

— თქვენი ხილის კურკები უკვე გავაშუქეთ გამა სხივებით. დარწმუნებული ვარ თქვენი ცდა მშვენიერ ნაყოფს გამოიღებს.

— გმადლობთ, პატივცემულო თეია! რომ იცოდეთ, ზოგჯერ როგორ გამეკენწლავს ხოლმე შიში, ვაი თუ...

— ყველა შემოქმედი ადამიანისათვის ეს ეპვი ჩვეულებრივი მოვლენაა. მე უბრალო ფაქტს ვეყრდნობი. თუ გამა სხივებით გაშუქებული ხორბალი ჩვეულებრივ ხორბალზე გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება და თავთავს იკეთებს, რატომ არ შეიძლება, რომ იმავე სხივებით გაშუქებულმა ხილის კურკებმაც ასევე ნაკლებ დროში გაზრდილი ხეხილი მოგვცეს? მე იმასაც ვფიქრობ, რომ ტყეების სწრაფად მოშენებისთვისაც ოდესმე უეჭველად გამოიყენებთ ამ გამა სხივებს.

ეს საშუალო ტანის ახალგაზრდა ქალი, რომლის ცოცხალი, ჭკვიანი თვალები ზოგჯერ ასე მკაცრად და დაკვირვებით გამოიყურება სათვალიდან, ღრმა ინტერესითა და გატაცებით დასწოფებია ცხოვრებას, თითქოს სურს ყველა მის ამოუხსნელ საიდუმლოებას ჩასწვდესო.

თეია ცეცხლაძეს უყვარს თავისი საქმე. ნივთიერებათა თვალჩაუწვდენელი სამყაროს იდუმალება მუდამ იტაცებდა მის დაუცხრომელ გონებას. ახლა კი იგი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ნივთიერებათა აღნაგობის კათედრის დოცენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და აკადემიასთან ჩამოყალიბებული იზოტოპებისა და რადიაქტიულ გამოსხივებათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ღრმად ჩასწვდომია ამ უხილავი სამყაროს საიდუმლოებას და თავის მრავალ კოლეგასთან ერთად ცდილობს მისი ძალები საზოგადოდ დაუმორჩილოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერების ინტერესებს.

მოვლენებით მდიდარი და სისხლსავსეა ახალგაზრდა მეცნიერი ქალის ცხოვრება. დღისით მას შეხვდებით მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, სადაც ინსტიტუტის დირექტორთან პროფესორ ე. ანდრონიკაშვილთან ერთად განიხილავს ახალ სამუშაო გეგმას, ნახავთ უნივერსიტეტის აუდიტორიაშიც სტუდენტებით გარსშემოხვეულს, იზოტოპებისა და რადიაქტიულ გამოსხივებათა კომისიის სხდომებზე.

საღამოობით კი თეიას ალბათ რომელიმე კონცერტზე შეხვდებით, განსაკუთრებით თუ იქ მისი საყვარელი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს ასრულებენ. ხშირად სახლშიც მიუსწრებთ ლ. ტოლსტოის ან ვ. ლაცისის რომელიმე რომანზე დაბრალს, ან თავისი ცხრა წლის ბიჭუნას გვერდით, რომელსაც იგი სიყვარულით ეხმარება მათემატიკაში პირველი გაუბედავი ნაბიჯების გადადგმაში.

მეგობრებსა და ნაცნობებს უყვართ თეია ცეცხლაძე, პატივს სცემენ მას. იგი ხომ ერთი იმათთაგანია, ვინც ყოველდღიურად თაედადებით ცდილობს დაუმორჩილოს ხალხის მშვიდობიანმყოფარე ნებას ბუნების გიგანტური, განუსაზღვრელი ძალები.

ა. მარჯანიძე.



სურათებზე: 1. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის შასის საამქრო. წინა პლანზე ხრახნმჭრელი უუფუნა ძიძიგური, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებს. 2. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკურ საამქროში არის რეგულირული ჩარხების უბანი. მას ქალები ეპყრობიან. კომკავშირელი ნინო მოძმანიშვილი (მარცხნივ) და კომუნისტი ევდოკია ცაბლინა მუშაობის დროს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა და გ. ვახტანგაძისა.

ავტომობილმშენებლები

მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საამქროებში ახალი შრომითი აღმავლობის ათვლა დაიწყო. დიდად სამუშაოთა ნათელი პროგრამის განსახორციელებლად მალალნაყოფიერი შრომის ოსტატ ვოკაციებთან ერთად თავდადებით იბრძვიან ენთუზიასტი ქალები, რომელთა შემოქმედებითს ნიჭს ამ ახალ გიგანტში ზრდისა და განვითარების ფართო სარბიელი უპოვნია. ქალები ბრწყინვალედ დაუფლებიან ავტომობილმშენებელთა რთულ პროფესიას. აი ხრახნმჭერი ეუფუნა ძიძიგური. თვითეულ დღეს ამ დიდ ქარხანაში მასთვის მეტი ცოდნა, გამოცდილება, არჩეული პროფესიის უკეთ დაუფლება მოაქვს. 7 წელია აქ მუშაობს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ საწარმოო დავალება 200 პროცენტზე დაბლა შეესრულებინოს.

ეუფუნას მეზობლად კრასნოიარსკელი ანა ზაგორინა მუშაობს და ქარხანაში ერთ-ერთ მოწინავე ახალგაზრდა სპეციალისტად ითვლება. ანამ გასული წელს გეგმა 175 პროცენტით შეასრულა, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლისა — ორი კვირით ადრე, პარტიის XX ყრილობის დასახვის დღისათვის.

არანაკლებ თავდადებულად შრომობს მაღლაკელი ვოკრანა გოგუცა ტყეშელაშვილი. უნივერსალური ჩარხის მართვა ვარკვეულ ცოდნასა და ჩვევებს მოითხოვს. გოგუცამ მალე აუღო ალღო ამ ჩარხის თავისებურ მოძრაობას, პირველი სიძნელეები გადალახა და ახლა უკვე თავისუფლად ფლობს მღარავის პროფესიას. იგი წინა ხიდის ღერძის ნაწილების გამოშვებაზე მუშაობს და ყოველდღიურად 2.600 დეტალის ნაცვლად 3.000-3.500 ცალს ამზადებს.

წარმატებას წარმატებაზე აღწევს სატვიფრო ჭექანიკური საამქროს მრავალი თამარ ვლასენკო, რომელიც ქარხანაში 10 თვის წინათ მოვიდა და უკვე კვალიფიციურ მუშად ითვლება. გეგმის შესრულების მისი ყოველდღიური ნაჩვენებელი ერთ-ნახევარ ნორმას აღემატება.

მაგრამ განა ერთია გამოუშვა ავტომობილი და არ იფიქრო მის გაუმჯობესებაზე! მუდმივი ძიება — აი რა მისწრაფება ამოძრავებთ ავტომობილის მშენებელ ნოვატორებს, რომელთა რიგებს ბრავალი ქალი ამშვენებს.

საავტომობილო გიგანტში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაზრდილი მრავალი ქალიშვილი მუშაობს. ერთი, ნათგანი — ეთერ თაქთაქიშვილი მთავარი მექანიკოსის განყოფილებაში უფროსი ინჟინრის მოვალეობას ასრულებს. ჩარხების აღდგენა და მოდერნიზაცია ეთერის უშუალო საქმეა. პატრიოტი ქალიშვილი დიდი ენთუზიაზმით უძღვება ამ საქმეს. მაღალნაყოფიერ შრომასთან ერთად ეთერ თაქთაქიშვილი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც არის. იგი არჩეულია ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ასევე უნარიანად, წარმატებით უძღვებიან მინდობილ საქმეს ახალგაზრდა ინჟინრები ნატა კაკაბაძე, გულნარა იობიძე, თამარ სარალიძე, ტაისა კოკაია და სხვები.

საავტომობილო ქარხნის საამქროებში, სადაც ათასზე მეტი ქალი მუშაობს, დიდი ენთუზიაზმით შეხვედრენ პარტიის XX ყრილობის დირექტივებს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ავტომობილმშენებელი ქალები მთელ კოლექტივთან ერთად ახალი შემოქმედებითი ენერგიით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის, მეტი და ნაღალხარისხოვანი ავტომანქანების გამოშვებისათვის.

გ. მეფისაშვილი.
საკ. კორ.

საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ხელმძღვანელი

საბჭოთა ქალების წინაშე შემოქმედებითი შრომის ვრცელი ასპარეზია გადაშლილი. ისინი მამაკაცთა მხარდაბარ აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეში.

აი ერთი მრავალთაგანი: ქსენია მახარაძე — ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენონნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ქსენია მახარაძე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა. ენერგიული, ინიციატივიანი ახალგაზრდა ქალი ჯერ სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, 1943 წლიდან სასოფლო საბჭოს აღმასკომს ჩაუდგა სათავეში და ბევრი რამ გააკეთა მშობლიური სოფლის წინსვლისა და აყვავებისათვის.

1953 წელს თანასოფელელებმა ქ. მახარაძე ერთხმად აირჩიეს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მალე დაატყო ჰესი გამრჯე ხელი ქვენონნის კოლმეურნეობას: იმატა წარმატებებმა, მოწინავეთა რიგებში ჩადგა სასოფლო-სამეურნეო არტელი.

გასული სამეურნეო წელი თვალსაჩინო მიღწევებით დამთავრეს ქვენონნელნი კოლმეურნეებმა — 101,2 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, თვითეული საფურაქე ძროხაზე გეგმის გადაჭარბებით 75 კილოგრამი რძე მიიღეს.

განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია კოლმეურნეობამ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში — 21.5 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე 42,2 ცენტნერი სიმინდი მიიღეს კოლმეურნეობის შემოსავალმა 2.400.000 მანეთს მიაღწია.

საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ხელმძღვანელი საქართველოს კპ XVII ყრილობის დელეგატი იყო. უდიდესი სიხარული განიცადა ქსენია მახარაძემ, როცა იგი, როგორც სკკპ XX ყრილობის დელეგატი, თეზერვალმი ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოეს ეწვია.

ღრმა განცდებით, კოლმეურნეობის მოსავლიანი ფიქრებით აღსავსე დაბრუნდა ქსენია მახარაძე ქვენონანში.

კოლმეურნეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მისი მოხსენება პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების, კოლმეურნეობის პერსპექტივების შესახებ.

ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პასუხად ქვენონნის კოლმეურნეობის წევრებმა ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს, გადაწყვეტეს წელს სამშობლოს მისცენ 330.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ჩის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდონ 800 კილოგრამით, თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 50 ცენტნერი სიმინდი, თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღონ 1.000 კილოგრამი რძე.

ვანუხრული აღმავლობის გზაზე დგას ქვენონნის კოლმეურნეობა, ყოველწლიურად იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი. ეს კოლმეურნეთა დაუღალავი შრომის, საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისათვის მათი უნარიანი ხელმძღვანელის. საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ქალის ქსენია მახარაძის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგი.

თ. სალუქვაძე,
მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის". სოფლის მეურნეობის განყოფილების გაგგე.

წარჩინებული მწველავი

პირუტყვის სადგომ ბინაში ველის წითელი ჯვრის ძროხებს შორის ჯარასავით ტრიალებდა პატარა ტანის შუახანს გადაცილებული ქალი.

— სოფო ჯანაშვილი, — გაგვაცნეს ის.

სოფო სიტყვაძვირი გამოდგა. ძხოლოდ ეს გვითხრა: — ვმუშაობ ჩვეულებრივად. გასულ სამეურნეო წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე 1.500 ლიტრის ნაცვლად 2.839 ლიტრი რძე ნოდწველი და ნამატი მთლიანად შევინარჩუნე.

ამათ შორის, რომლებმაც პატიოსანი შრომით მოიპოვეს ავტორიტეტი და ამხანაგთა პატივისცემა, წელსწინელი კოლმეურნე სოფო ჯანაშვილიც არის. ორი წლის წინათ მეცხოველეობა წელსწინში ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო. პარტბიუროს წინადადებით კოლმეურნეობის გამგეობამ მეძროხეობის ფერმაში სამუშაოდ გაგზავნა კომუნისტები, მოწინავე ადამიანები, მათ შორის კომუნისტი სოფო ჯანაშვილიც. სოფოს სოფელში შრომისმოყვარე, გამრჯე ქალის სახელი ჰქონდა მოპოვებული. ბოსტნეულის უხვი მოსავლის მოყვანით არაერთხელ უსახელებია თავი. მოწინავე მებოსტნე ფერმაში მუშაობის პირველ წელსვე სანაქებო მწველადა დადგა.

ახლა მისი სახელი მცხეთის რაიონის ფაგოლეს ველს ამკობს. ამას წინათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა რეპუბლიკის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და სხვებთან ერთად ფულადი პრემია მისცა წილაჭის კოლმეურნეობას 1954-1955 სამეურნეო წელს წველადობის, სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისა და შესყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ფულადი პრემიით დაჯილდოდა აგრეთვე მწველავები ს. ჯანაშვილი, ქ. ქავთარაძე და ს. წოწინაშვილი.

პარტიის XX ყრილობის შედეგების განხილვისას ფერმის მუშაკებმა ახალი, გადიდებული ვალდებულებები აიკისრეს. მოწინავე მწველავის ს. ჯანაშვილის ვალდებულებაა წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 3.500 ლიტრი რძე.

პირველი თებერვლისათვის ს. ჯანაშვილს თვითეულ საფურაქე ძროხაზე უკვე მიღებული ჰქონდა 1.135 ლიტრი რძე. წველადობის ეს ციფრი ამის მაჩვენებელია, რომ სოფო ვალდებულებას წარმატებით განახლებს.

მ. ხეთაგური,
საკ. კორ.

ქალთა საერთაშორისო დღე

ქეთევან ლომთათიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

წელს ჩვენი ქვეყნის მშრომელები ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს აღნიშნავენ უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი აღფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს, რაზმავენ მათ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

თავისუფალი საბჭოთა ქალები უდიდეს როლს ასრულებენ სოციალისტური სამშობლოს წინსვლისა და მისი ძლიერების განმტკიცების საქმეში. ისინი, სასახელოდ შრომობენ რა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, უაღრესად მადლიერი არიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა, რომლებმაც ყველა პირობა შეუქმნეს ქალს თავისი უნარისა და შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდასთან ერთად იზრდებოდა და იზრდება საბჭოთა ქალების შემოქმედებითი აქტივობა, მათ ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარებაში, კულტურის აყვავებაში.

ქალი თვალსაჩინო როლს ასრულებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. იგი თავგამოდებით იღვწის „წარმოებაში. სამამულო ომამდე წარმოებასა და ტრანსპორტში ჩაბმულ ქალთა რიცხვი 11 მილიონს აღწევდა. ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა დიდი სამამულო ომის პერიოდში. შეიქმნა წარმოებაში მომუშავე ქალთა სტაბილური კადრები. ქალებმა აითვისეს რთული პროფესიები, აქტიურად იბრძვიან გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. წარმოებაში ნერგავენ ახალ მეთოდებს. საქვეყნოდ ცნობილია წარმოებაში მომუშავე მოწინავე ქალების ლ. კორაბელნიკოვას, მ. როქნევას, ლ. კონონენკოს, ე. და მ. ვინოგრადოვების და სხვათა სახელები. წარმოების მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის ბევრ მათგანს მიენიჭა სტალინური პრემია.

მრავალი მოწინავე ქალი მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში. ისინი წარმატებით ეუფლებიან ახალ ტექნიკას, საწარმოს ცხოვრებაში შეაქვთ გაუმჯობესებანი, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს. მთელი რესპუბლიკა იცნობს მოწინავე მუშა ქალებს მაგდანა ბურჯანაძეს, მარიამ ოსკინას, ნინო ჯოხაძეს, ალექსანდრა ნადეინას და მრავალ სხვას.

თანდათან მაღლდება მუშა ქალის კულტურის დონე. იგი დიდი მონდომებით ეწაფება უმაღლეს განათლებას. გუშინდელი მუშები ტექნიკოსები და ინჟინრები ხდებიან.

უდიდეს ძალას წარმოადგენს ქალი სოფლის მეურნეობაში. საკოლმეურნეო სოფლებში მრავლად აღიზარდნენ უხვი მოსავლის ოსტატი, საკოლმეურნეო წარმოების შესანიშნავი ორგანიზატორი ქალები. სახელი გაითქვეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავე ქალებმა: ჩაის უხვი მოსავლის ოსტატებმა თ. ყუფუნიამ, დ. ტაკიძემ, გ. ჯინჭარაძემ; მეაბრეშუმეებმა ო. აივაზაშვილმა, ლ. კომახიძემ, კ. ლომიძემ; ტრაქტორისტმა ე. ნატროშვილმა და სხვ.

უხვი მოსავლის მიღებისათვის ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ნომუშავე ასობით ქალს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მადალი წოდება. ბევრი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

პარტიის მიერ დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში — ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში დიდი ენთუზიაზმით ჩაება ჩვენი ქვეყნის ათასობით პატრიოტი ქალიშვილი.

ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა გაბედულად აწინაურებენ ქალებს პასუხსაგებ თანამდებობებზე. 20 ათასამდე ქალი კოლმეურნეობას მეთაურობს, 400 ათასამდე ქალი მეინდვრეობისა და მებოსტნეობის ბრიგადების ხელმძღვანელია, 250 ათასზე მეტი ქალი ტრაქტორისტებად და კომბაინერებად მუშაობს.

საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობაში. 348 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად ორი ათასზე მეტი ქალია არჩეული; ნახევარ მილიონზე მეტი ქალი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. ჩვენი რესპუბლიკის 17 მოწინავე ქალი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 101 ქალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო 10.949 ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია.

მეტად თვალსაჩინოა ის გარდატეხა, რომელიც მოახდინა საბჭოთა ხელისუფლებამ სწავლა-განათლების საქმეში. თუ რევოლუციამდელ რუსეთში წერა-კითხვის მცოდნე ქალთა რიცხვი 12 პროცენტს აღწევდა, უმაღლესი განათლების მქონე კი მხოლოდ ერთეულები იყვნენ, დღეს საბჭოთა ქვეყანაში უმაღლესი განათლების მქონე ყველა სპეციალისტთა მორის ქალები შეადგენენ 53 პროცენტს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქალები დიდი რაოდენობით და აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფართო გზა გაუხსნა ქალს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მარტო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 4 ათასზე მეტი ქალი მუშაობს. მათ შორის 1.000-ზე მეტ ქალს სამეცნიერო ხარისხი აქვს. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში 300-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი ქალია, მათგან 200-მდე ქალს მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხარისხი აქვს.

საბჭოთა ქალებს ძვირფასი წვლილი შეაქვთ მეცნიერების ყველა დარგის განვითარებაში. საყოველთაოდ ცნობილია ო. ლეპეშინსკაიას შრომები ბიოლოგიის დარგში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტის პ. კოჩინას შრომები მათემატიკა-მექანიკის დარგში, აკადემიკოს ა. პანკრატოვას შრომები ისტორიის დარგში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ქ. ბახტაძემ ჩაის ახალი ჯიშების გამოყვანით მნიშვნელოვნად წასწია წინ ჩვენი სოფლის მეურნეობა.

საბჭოთა ქვეყანას ჰყავს მრავალი სახელმოხვეჭილი მწერალი და ხელოვნების მუშაკი ქალი. მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში მოღვაწე ქალთა წარმატების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 746 ქალს მინიჭებული აქვს სტალინური პრემია.

განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ პარტია და საბჭოთა მთავრობა დედათა და ბავშვთა მიმართ. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სამშობიარო სახლების, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების ფართო ქსელი. ქალი დედა უდიდესი პატივისცემით არის გარემოსილი. მილიონობით ქალი დაჯილდოებულია დედობის ორდენითა და მედლით. სახელმწიფო სისტემატურად ეხმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. შექმნილია ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ ქალმა კარგად შეათავოს თავისი დედობრივი მოვალეობა საზოგადოებრივ-საწარმოო ცხოვრებასთან.

მეექვსე ხუთწლედში დასახულია დიადი პროგრამა ქალის შრომითი პირობების შემდგომი გაუმჯობესების, სამუშაო დროის შემცირების, რეალური ხელფასის გაზრდის, შრომის მექანიზაციის, დედისთვის დამატებითი შეღავათების შემოღებისა და სხვათა სახით.

საბჭოთა ქალი თავისი შემოქმედებითი შრომით, სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადებითა და სიყვარულით, მშვიდობისათვის აქტიური ბრძოლით მაგალითის მიმცემია მსოფლიოს ქალებისათვის. ჩვენი ქვეყნის ქალთა მაგალითი აღაფრთოვანებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალებს ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში. საბჭოთა ქალების მაგალითისამებრ დიდი ჩინეთის მშრომელი ქალები აქტიურად მონაწილეობენ ახალი ცხოვრების შენებაში.

ახალ ცხოვრებას წარმატებით აშენებენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალები.

სულ სხვაა ხვედრი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ქალებისა, რომლებიც ორმაგად განიცდიან კაპიტალისტური მანქანის სიმძიმეს. კლასობრივ ჩაგვრასა და სიღატაკეს აქ ემატება წარმოების კაპიტალისტური წესის მუდმივი თანამგზავრი — უმუშევრობა და კრიზისები.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალი მამაკაცის თანაბარ შრომაში ნაკლებ ხელფასს იღებს. ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ წარმოებებში ქალთა ხელფასი მამაკაცის ხელფასთან შედარებით 42 პროცენტით მცირეა, ინგლისში — 30 პროცენტით, იაპონიაში — 50 პროცენტით, ხოლო შვეიცარიაში ეს განსხვავება 65 პროცენტს აღწევს. უფრო მძიმეა ქალის ხვედრი კოლონიურ ქვეყნებში.

მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალი მოკლებულია საარჩევნო უფლებას, ზოგ კაპიტალისტურ ქვეყანაში ეს უფლება შეზღუდულია სხვადასხვა ცენზით, ზოგში კიდევ ქალის საარჩევნო უფლება ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები თანდათან რწმუნდებიან, რომ კაპიტალიზმს მათთვის მოაქვს სრული უუფლებობა, უმუშევრობა, სიღატაკე და სისხლისმღვრელი ომები. ისინი აქტიურად ებმებიან დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, აშკარად ილაშქრებენ სისხლისმღვრელი ომების წინააღმდეგ, მტკიცედ ირაზმებიან ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გარშემო, რომელიც აერთიანებს 66 ქვეყნის 140 მილიონ ქალს. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია დიდ ძალას წარმოადგენს მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის საქმეში, ატომისა და წყალბადის იარაღის, ყოველგვარი მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საქმეში.

დემოკრატიის, ხალხთა თანამშრომლობისა და მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ავანგარდში დგანან საბჭოთა ქალები. ისინი მთელ მსოფლიოს უჩვენებენ ხალხთა შორის მეგობრობის ბრწყინვალე მაგალითებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მუდამ ზრდიდნენ და ზრდიან მშვიდობისადმი, ხალხთა მეგობრობისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკამ თავისი ასახვა ჰპოვა კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში, რომლებსაც ასე აღფრთოვანებით იწონებენ ფართო მასები.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, მეექვსე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმები, პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისათვის ახალ ენერგიას მატებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, საბჭოთა პატრიოტ ქალებს.

აღნიშნავენ რა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს, საბჭოთა ქალები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ამრავლებენ თავიანთ ძალებს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საყოველთაო მშვიდობისათვის საბრძოლველად.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ახალი შრომითი აღმავლობა

უდიდესი კმაყოფილებით და შრომითი აღმავლობით შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ყველგან — სამრეწველო საწარმოებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში — ასეულ ათასობით მშრომელი ღრმად სწავლობს ამ შესანიშნავ დოკუმენტებს.

საბჭოთა ადამიანების — კომუნისტური საზოგადოების მშენებლების მაგალითით აღფრთოვანებული ჩეხოსლოვაკიის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად იღებენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ვიტკოვიცეს კლემენტ გოტვალდის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ახალ ფოლადსამსხმელო საამქროში საუბრის შემდეგ მეტალურგებმა ვალდებულება იკისრეს დაზოგონ 2 მილიონ 392 ათასი კრონის (კრონა — დაახლოებით 56 კაპიკი) მასალები.

სურათზე: მუშები ხელს აწერენ ვალდებულებებს.

ფოტო ფინდისა (ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო).

უნგრეთ-ჩინეთის შეთანხმება სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

ბუდაპეშტი, 6 მარტი. (საკდესი). აქ დამთავრდა უნგრეთ-ჩინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კოორდინაციის კომისიის მეორე სესია. ხელმოწერილია შეთანხმება, რომლითაც უნგრეთი დახმარებას გაუწევს ჩინეთის ქვანახშირის, მეტალურგიული, მანქანათსამშენებლო და ქიმიური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარებაში. ჩინეთი სამეცნიერო-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს უნგრეთს მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის დარგში.

ჩინეთის ახალი ელექტროსადგურები

პეკინი, 6 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუტიანში (ფუძიანის პროვინცია) მწყობრში ჩადგა ახალი ჰიდროელექტროსადგური. ისევე როგორც გუანტინის ჰიდროელექტროსადგური პეკინის მახლობლად, რომელიც მწყობრში ჩადგა გასული წლის დეკემბერში, იგი აგებულია ჩინელი ინჟინრების პროექტით და აღჭურვილია სამმოცულ წარმოების გენერატორებით.

ძიამუში (ხეილუნძიანის პროვინცია) დამთავრდა ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობა.

ბელგიელი კომუნისტები ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებს

ბრიუსელი, 6 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დრაპო რუჟი“ იუწყება, გუშინ გაიმართა ბელგიის კომუნისტური პარტიის ბრიუსელის ფედერაციის წევრთა კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებს. კრების გახსნისას ფედერაციის მდივანმა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჟან ბლუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისთვისაც.

მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შესახებ კრებაზე გააკეთა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. ბიურნელმა, რომელიც მეთაურობდა ბელგიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას XX ყრილობაზე. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

დასასრულ ე. ბიურნელმა და ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ალბერტ დე კოინკმა უპასუხეს კომუნისტების მრავალ კითხვაზე.

უახლოეს დღეებში გაიმართება აგრეთვე ბელგიის კომუნისტური პარტიის სხვა ფედერაციებისა და უჯრედების კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი.

უ ნუს სიტყვა რანგუნის წინასაარჩევნო მიტინგზე

პეკინი, 6 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, რანგუნში გაიმართა 30-ათასიანი წინასაარჩევნო მიტინგი. რომელიც მოაწყო სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტურმა ლიგამ. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის თავმჯდომარემ, ბირმის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ.

უ ნუმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო საქმეებში ლიგა კვლავაც გააახორციელებს ნეიტრალურ პოლიტიკას, აგრეთვე დაიცავს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების თათბირი

კაირო, 6 მარტი. (საკდესი). დღეს კაიროში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სუდის არაბეთის მეფე სუდი. აქ უკვე იმყოფება სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კუვატლი.

როგორც გაზეთები იუწყებიან, კაიროში გაიმართება არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების: ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის, სირიის პრეზიდენტის კუვატლისა და სუდის არაბეთის მეფის სუდის მოლაპარაკება არაბთა ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე. როგორც „ალ-აჰრამი“ იუწყება, თათბირი დაწერილებით განიხილავს არაბული ალმოსავლეთის თანამედროვე ვითარებას.

მენის საგენტო იუწყება, რომ თათბირის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი იმის შესახებ, რომ არაბთა ქვეყნებმა დახმარება გაუწიონ ეირფლანის, რათა თავიდან აიცილონ მას ინგლისისაგან ფინანსური დამოკიდებულება.

გაზეთები ბეიროვენ სტატიებს, რომლებშიც მიეალმებიან არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოლაპარაკებას არაბთა ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებისათვის.

„ალ-გუმჰურია“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეგვიპტე, სირია და სუდის არაბეთი „არაბთა მძლავრ ფრონტს, რომლებიც უარყოფენ უცხოეთის სანდიერო პაქტებს და აცხადებენ, რომ ეს პაქტები ემსახურებიან უცხოელთა ინტერესებს...“ არაბუს სუთი, წერს გაზეთი, რომ მათს სიმდიდრესა და რესურსებს ექსპლოატაციას არ უწევდნენ უცხოელები, რომ ეს სიმდიდრე და რესურსები ემსახურებოდეს თვით არაბთა ინტერესებს, ხელს უწყობდეს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას და მათი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, აგრეთვე ემსახურებოდეს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

„ალ-აჰრამი“ მოწონებულ სტატიაში აღნიშნავს: დღეს არაბები თვითონ გადაწყვეტენ თავიანთ ბედს. მათ სურთ მშვიდობა, თავისუფალი ცხოვრება და თავიანთი რიგების ერთიანობა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 6 მარტი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ა. მალიშევის მეთაურობით, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა ლაიპციგის საგაზაფხულო ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად, რესპუბლიკაში მოგზაურობის შემდეგ დღეს ბერლინში დაბრუნდა. მოგზაურობის დროს დელეგაცია იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში — ლაიპციგში, მაგდებურგში, ერფურტში, ვაიმარში, იაზენაცში, იენსა და სხვა ქალაქებში; დათვალიერა სხვადასხვა საწარმო, კულტურული დაწესებულებები, გაეცნო საწარმოთა მუშაობას და მწარმოელთა ცხოვრებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა ყველგან გულთბილად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა და გერმანელმა მეგობრებმა მრავალი მეგობრული საუბარის დროს ერთმანეთს გაუზიარეს მუშობის გამოცდილება, შრომის მოწინავე მეთოდები და საწარმო-ტექნიკური მიღწევები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს ახლდა სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ლ. ორლოვი.

ქალთა ახალი ცხოვრება ალბანეთში

ტირანა, 6 მარტი. (საკდესი). ალბანელი ქალები სიხარულით ეგებებიან ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

ალბანელი ქალი სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი გახდა. ალბანეთის განთავისუფლების წინ წარმოებაში დასაქმებულ ქალთა რიცხვი 700-ს არ აღემატებოდა.

ახლა საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებსა და საავადმყოფოებში შრომობს 28 ათასზე მეტი ქალი, 5.800 ქალი წარმოების მოწინავეა.

ალბანელი გლეხი ქალები სულ უფრო დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებაში.

ალბანეთში ქალისათვის ფართოდ გაიღო სასწავლებლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კარი. ომისშემდგომ წლებში 175 ათასზე მეტმა ქალმა ისწავლა წერა-კითხვა. ათასობით ქალიშვილმა დაამთავრა განათლება ან ახლა იღებს განათლებას ალბანეთის, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპეციალურ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში.

ქალები აქტიურად მონაწილეობენ ალბანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში: 2.000 ქალი არჩეულია სახალხო კრების, ადგილობრივი სახალხო საბჭოების დეპუტატებად, სახალხო მსაჯულებად.

ქალი — დედა ალბანეთის სახელმწიფოს გარემოსილი ჰყავს მუდმივი ყურადღებითა და ზრუნვით. ახლა ალბანეთში გახსნილია 90 სამშობიარო სახლი და მათი გაფაფოფილებები. 260 სამაგვარ ბაღი, 100 ბაგა, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მრავალშვილიან დედებს სახელმწიფომ 760 მილიონ ლეკზე მეტი დახმარება მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინირი. ქალაქის გამწვანებისათვის მოწყობილია ორანჟერეა, რომელშიც გამოფენილია 50.000-ზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების ყვავილი. **სურათზე:** მოწინავე მუშა ტ. კულუმბეგოვა უვლიან გადასარგავ გერანს.

ფოტო ვ. უბოჟენკოსი.

სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში

ახალმშენებლობანი სოფლად

მახარაძე. (ხაკ. კორ.). სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში სწრაფი ტემპით შენდება სახლი 8-წლიანი სკოლისათვის. მშენებლობა, რომელზეც მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება, საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სასწავლო წლისათვის. მშენებლობაში მონაწილეობას იღებს სკოლის შეფი — მაკვანეთის კოლმეურნეობა. აქვე აიგება სოფლის კეთილმოწყობილი კლუბი, რომელიც 400-მდე მაყურებელს დატევს. მისი საზეიმო გახსნა მოხდება 1 მაისის დღესასწაულისათვის.

ჩხოროწყუ. (ხაკ. კორ.). ახალი რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. უკანასკნელ წლებში აქ მნიშვნელოვან მშენებლობას ეწევა ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. აგებულ იქნა ორსართულიანი კლუბის შენობა, რომლის დარბაზში ოთხასამდე კაცი დატევდა. დამთავრდა საწყობების მშენებლობა, მალე საავადმყოფოს პლატაციოდ გადაეცემა მცირე თბოელექტროსადგური, რომელიც აამუშავებს ხეტყის სახერხ საამქროს და სხვა საწარმოო ობიექტებს.

მაღლდება სოფლის კულტურა

ხობი. (ხაკ. კორ.). ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგა. გაიზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი. ამაღლდა კოლმეურნეთა ცხოვრების დონე. აქ მოაწყეს რადიოკვანძი, რომელიც ემსახურება 450 წევრს. გათვალისწინებულია 500 კაცის ტევადობის კლუბისა და კინოთეატრის შენობის აგება, მორეული ბრიგადების ტელეფონიზაცია, რისთვისაც უკვე შეიძინეს კომუტატორი. დაიწყო სოფლის ელექტროფიცირების სამუშაოები.

კინოთეატრის რეკონსტრუქცია

ცხინვალი. (ხაკ. კორ.). ახლახან დამთავრდა ქალაქის საზამთრო კინოთეატრის კაპიტალური რემონტი, რაც 110.000 მანეთი დაჯდა. დარბაზი ამჟამად 300 მაყურებელს იტევს. კინოთეატრს ლამაზად გაფორმებული ფოიე აქვს.

საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობა

ბოლნისი. (ხაკ. კორ.). დამთავრდა ბოლნისის რაიონული საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობა. გაკეთდა ბეტონის ახალი გადახურული სავაჭრო მაგიდები. 3.000 კვადრატულ მეტრზე დაგო ასფალტი. შეიკეთდა ყველა საკოლმეურნეო სავაჭრო წერტილი. ბაზრის ტერიტორია მთლიანად შეიღება, მოასფალტდა მისი მისადგომები, აშენდა ახალი სასაღილო. ბაზარი ელექტროფიცირებულია. დაიდგა რადიორეპროდუქტორები.

სსრ კავშირისა და ირანის მოჰიდავეთა მეორე შეხვედრა

მოსკოვი, 7 მარტი. (სპეც. კორ.). გუშინ მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ირანის მოჰიდავეთა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში. როგორც ვიუწყებოდით პირველი მატჩი, რომელიც ბაქოში შედგა, დამთავრდა ფრედ 4:4.

მოსკოვში გამართულ მატჩში საბჭოთა კავშირის გუნდი გამოვიდა ცალქალამანიძის, მაისურაძის, სალიმულინის, გაბარაევის, ბალავაძის, კომოვის, ალტულისა და ტრიზბერგის შემადგენლობით. ირანის გუნდის შემადგენლობა თითქმის იგივე იყო, როგორც ბაქოში გამართულ მატჩში.

ეს საინტერესო ბრძოლა კვლავ ფრედ (4:4) დამთავრდა. საბჭოთა მოჰიდავეებიდან შეხვედრები ქულების მოიგეს ცალქალამანიძემ, ბალავაძემ და ტრიზბერგმა. გაბარაევს გამარჯვება ჩაეთვალა მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ჟურნალ ამადუ

მონოგისაგან განთავისუფლებული ქალი

ცნობილი ბრაზილიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი ჟორჟი ამადუ ხანგრძლივი დროით რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში. თავისი შთაბეჭდილებები ამ მოგზაურობის შესახებ მწერალმა განაზოგადა წიგნში „მსოფლიოს მშვიდობა“.

ქვემოთ გთავაზობთ ჟურნალ „სოვეტსკაია ენციკლოპედიაში“ გამოქვეყნებულ ამ წიგნის ნაწყვეტს, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა ქალებისადმი.

მილიციელ ქალს, რომელიც დიდ თეატრთან გზაჯვარედინზე მოძრაობას აწესრიგებს, ლამაზი ტიპის ლამაზი სახე აქვს. თუ ის ჯერ კიდევ არ არის გათხოვილი, მისი ხელის თხოვნის პრეტენდენტი უეჭველია ბევრი იქნება. ის დგას თავის პოსტზე, ტანსაოლტილი, ფორმაში გამოწყობილი და ყურადღებით ადევნებს თვალს ავტომობილებსა და ფეხით მოსიარულეებს. აი მან დაუშვა ხელი, და დიდი მანქანა, რომელშიც იქნება მინისტრი იჯდა, წამსვე გაშშედა, რათა ქუჩაზე გადასვლის შესაძლებლობა მიეცა მუშა ქალისათვის, რომელსაც ორი ბავშვი მიჰყავდა.

მილიციელი ქალი, რომელიც ახლა ასე გრაციოზულად და დამაჯერებლად წარმართავს მოძრაობას ხვერდლოვის მოედანზე, მოგვიანებით შეიძლება შეგხვდეთ გორკის სახელობის კულტურის პარკში, რომელსაც ფორმა სადა კაბაზე შეუცვლია და დახეირნობს თავის საქმროსთან, ან მხიარულად ცეკვავს ქარხნის კლუბში გამართულ საღამოზე.

აქ, საბჭოთა ქვეყანაში, არ არსებობს ისეთი პოსტი, ისეთი თანამდებობა, რომელიც ქალებისათვის ხელმისაწვდომი არ იყოს. თქვენ მათ ყველგან შეხვდებით: ფაბრიკებსა და კოლმეურნეობებში, უნივერსიტეტებსა და მწერალთა კავშირში, რკინიგზებსა და მუზეუმებში, ჯარში და ბომალდებზე. მოსკოვის მეტროს — ჩვენი დროის ამ ხასწაულის — მთელი ქსელის ერთ-ერთი ხელმძღვანელია ქალი, გამოჩენილი ინჟენერი. არის ცოდნის დარგები, როგორც, მაგალითად, მედიცინა, სადაც ქალების რიცხვი მამაკაცთა რიცხვს აღემატება. მაგრამ რა საქმიანობასაც უნდა ეწეოდეს ქალი, იგი ყველგან იღებს ხელფასს, რომელიც იმავე თანამდებობაზე მომუშავე მამაკაცის ხელფასს უდრის.

რევოლუციის შემდეგ ქალისა და მამაკაცის ხელფასის ანაზღაურებაში სრული თანასწორობა დამყარდა. ქალი ახლა მხოლოდ „სუსტ სქესს“ როდი წარმოადგენს, ის მამაკაცის თანასწორად გრძნობს თავს. მას იგივე უფლებები და მოვალეობანი აქვს. რაც მამაკაცს...

როცა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდი, ბევრი მეკითხებოდა, საბჭოთა ქალმა, რომელმაც მამაკაცის თანასწორი უფლება მოიპოვა და ეწევა სხვადასხვა, ზოგჯერ არა მსუბუქი სახის საქმიანობას, ხომ არ დაკარგა ქალური სინაზე და ელეგანტობა, ხომ არ გაუხეშდაო.

არა, ის არ გაუხეშებულა, არ დაუკარგავს ქალური სინაზე. აღარ წარმოადგენს რა „სუსტ სქესს“, იგი ისევ ეკუთვნის მშვენიერთა სქესს.

რაც შეეხება ელეგანტობას, აქ საჭიროა შევჩერდეთ. თუ საბჭოთა ქალს შევადარებთ ელეგანტურ მინდვრების მაღალი წრის მანდილოსანს, მილიონერის ცოლს, რომელიც ნიუ-იორკის კაბარესა და კოპაკაბანის პლიაჟის ხშირი სტუმარია, ის შესაძლებელია ნაკლებ ნატიფი და ელეგანტურია, მაგრამ უეჭველად ბევრად უფრო კულტურული და განათლებულია. საბჭოთა ქალს უფრო ფართო გონებრივი არე აქვს, ის უკეთესად ერკვევა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ვიდრე კაპიტალისტური საზოგადოების ვინც გინდა იყოს მაღალი წრის მანდილოსანი— კოტტად მორთული უვიცი დედოფალა. შეიძლება ქალები, რომლებიც იკერავენ კაბებს განთქმულ პარიზელ მკერავებთან, უფრო ელეგანტური არიან, ვიდრე საბჭოთა ქალები, მაგრამ განა მათ შეუძლიათ დაიტრაბახონ ისეთივე ცოდნა, ისეთივე კულტურა?! ვიცნობ რა იმათაც და ამათაც, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არა.

მე მსურს კიდევ ერთი შედარების გაკეთება: საბჭოთა ქალის — მოსამსახურის ან გლეხის შედარება კაპიტალისტური ქვეყნების გლეხ ან მოსამსახურე ქალთან. უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა მოსამსახურე და გლეხი ქალი ატარებენ საუცხოო ხარისხის ქსოვილს, კარგ ტუფლებს ჩვენი მოსამსახურე და გლეხი ქალებისაგან განსხვავებით, რომლებიც მათხოვრულად იცვამენ. ეს გასაგებიც არის: საბჭოთა ხალხი ახლა უკეთ იცვამს, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხი ევროპაში.

საქმე ის არის, რომ ელეგანტურობა ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „მოდა“ არ იყო ძირითადი მიზანი სოციალიზმის აშენების დროს. ვიდრე ორიგინალური ყაიდის კაბებისათვის მოიცლიდნენ, მანამდე საჭირო იყო მშრომელების უზრუნველყოფა პურითა და ხამუშაოთი, მათთვის საცხოვრებელი ბინების აშენება, ფაბრიკებისა და ქარხნების აღდგენა, სკოლებისა და კულტურის ხახლების აშენება. ახლა, როცა მთავარი მიღწეულია, საბჭოთა ქვეყანაში ელეგანტურობაზეც ფიქრობენ. თქვენ ყველგან შეხვდებით — ამის საწინააღმდეგოს. რასაც ლაპარაკობენ რეაქციულ პრესაში, — არა მარტო სპეციალურ საპარფიუმერიო მაღაზიებს, რომლებიც ვაჭრობენ პომადით, პუდრით, კრემით, სუნამოებით, არამედ კარგად მოწყობილ კოსმეტიკურ კაბინეტებსაც. თეატრებში, ცეკვებზე და პარკებში შეგიძლიათ ნახოთ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის უამრავი სხვადასხვაგვარი ფასონი. მაგრამ ტანსაცმელი საბჭოთა კავშირში სოციალური კუთვნილების განმსაზღვრელი როდია, როგორც ეს კაპიტალისტურ ქვეყნებშია, სადაც კარგად ჩაცმული მამაკაცი, რომელსაც ძვირფასი ყელსახვევი და ქუდი აქვს, უეჭველად მდიდარი, მსხვილი მოხელეა ან პოლიტიკური მოღვაწე, ცუდად ჩაცმული და გაუპარსავი კი უეჭველად მუშა ან მოსამსახურეა.

მოსკოვში ერთ-ერთი თეატრის ვესტიბიულში სასაცილო ამბავი გადამხდა: მე ჩემს თარჯიმანს მივუთითე სადად ჩაცმულ ჭაღარათმიან კაცზე.

— ჩანს, მოხუცი მუშაა... — ვუთხარი მე.

თარჯიმანს გაეცინა:

— მეცნიერებათა აკადემიის ცნობილი წევრია.

მაშინ მე ვუჩვენე ლამაზყელსახვევიანი, კარგკოსტიუმიანი ელეგანტური ახალგაზრდა.

— ეს კი უეჭველად დიპლომატია...

— არ ვიცი, შეეკითხოთ მას, — მომიგო თარჯიმანმა.

და ამჯერადაც შევცდი: ეს ახალგაზრდა რკინიგზის მემანქანე აღმოჩნდა.

იგივეა ქალებში. თეატრებში შეიძლება ნახოთ ქალები საღამოს გრძელი ელეგანტური კაბებით და მათ გვერდით — სრულიად სადა კაბებით. და ეს უბრალო ტანსაცმელი სრულიადაც არ ხდის მათ ნაკლებად ლამაზსა და ნაკლებად მიმზიდველს. უფრო მეტიც: უნდა გამოვტყდე, რომ ხალისით ვიგონებ სწორედ იმ ნათელთვალებიან და ნაზი, მელოდიური ხმით მოლაპარაკე, სადად ჩაცმულ მიმზიდველ მოსამსახურე ქალებს.

ყოველივე ამაზე — თითქოს უბრალო წვრილმანებზე იმიტომ გიამბობთ, რომ ერთ-ერთი ცილისმწამებლური მტკიცება, ვითომდა საბჭოთა კავშირში ქალმა დაკარგა თავისი ქალური სინაზე, ძლიერ გავრცელებულია საზღვარგარეთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ელეგანტური კაბა არაფრად ღირს იმასთან შედარებით, რომ უფლება გაქვს დაიკავო რომელიც გნებავს თანამდებობა, იმასთან შედარებით, რომ ქალები და მამაკაცები სავსებით თანასწორუფლებიანი არიან. მე საკუთარი თვალით ვნახე საბჭოთა ქალები, რომლებიც უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ინჟინრები, ექიმები, ფაბრიკის დირექტორები და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები არიან, ქალები, რომელთა სახე ოდესღაც დაფარული იყო ჩადრით, ხოლო მოძრაობა შებორკილი იყო ათასი ცრურწმენით.

და ეს ნამდვილად მნიშვნელოვანია!

ქალის ეკონომიურმა დამოუკიდებლობამ, ცრურწმენისაგან და ცრუმორწმუნეობისაგან სრულმა განთავისუფლებამ შეცვალა საბჭოთა ადამიანის ოჯახური ცხოვრებაც. ქმარი აღარ არის ბატონი, ცოლი ნებასაც იტყვაშეუბარუნებლად ემორჩილება ცოლ-შვილი. გაიზარდა ქალის ავტორიტეტი. ყველა საკითხი საბჭოთა ოჯახში საერთო შეთანხმებით წყდება.

სიყვარული, რომელიც განთავისუფლდა ეკონომიური დამოკიდებულებისაგან, უფრო მტკიცე გახდა და — დარწმუნებული ვარ ამაში — უფრო რომანტიკულიც. მამაკაცისა და ქალის თანასწორობა, მათი ინტერესების ერთობა შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას ოჯახი უფრო მტკიცე საფუძველზე ვიდრე კაპიტალისტურ საზოგადოებაში...

ხაბჭოთა ქვეყნის უსაზღვრო სივრცეებში რომ მოგზაურობთ, შეგიძლიათ არაერთგზის ნახოთ საბჭოთა ქალი — დიდებული და ვაჟკაცური, ჩინებული თავისი ენთუზიაზმით, ქალი, რომელიც ეჯიბრება მამაკაცს ცხოვრების ყოველ დარგში. მას ფიჰყავს მატარებელი ციმბირის სივრცეებში, შთაგონებით თამაშობს სცენაზე, მართავს ტრაქტორს, ზის თვითმფრინავზე, სამეცნიერო ლაბორატორიაში დაბრილა ხელსაწყოებზე, უფორმო ქვის ლოდისაგან ქმნის ოვალთა სილამაზის ქანდაკებებს. ფაბრიკაში ის ნოვატორია, კოლმეურნეობაში. — სოციალისტური შრომის გმირი.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ქალი იყო ჯარისკაცი და მფრინავი, მედიცინის და, ექიმი, სამხედრო კორესპონდენტი და რიგითი მებრძოლი.

ზურგში ის მამაკაცთან ერთად, მის გვერდით თავგანწირულად მუშაობდა ფაბრიკებსა და ქარხნებში, თესავდა, იღებდა მოსავალს, ზრდიდა შვილებს, სწავლობდა, იბრძოდა. ომის ძნიმე დღეებში საბჭოთა ქვეყნის ქალმა ცხადყო, რომ იგი ღირსია იმ თავისუფლებისა, რომელიც მას რევოლუციამ მისცა.

რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში ბევრია ომის გმირების: გენერლებისა და პარტიზანების, მუშებისა და მეზღვაურების, გლეხებისა და მფრინავების ძეგლები. მათ შორის მცირე როდია ფრონტისა და ზურგის გმირი ქალების ძეგლები.

დღეს, როცა მშვიდობიან შრომას დაუბრუნდნენ, საბჭოთა ქალები თავიანთ ქვეყანაში მამაკაცის თანაბრად თავგანწირულად აშენებენ კომუნიზმს და თუ თქვენც მოგიხდებათ, როგორც მე, საბჭოთა კავშირში ყოფნა, დიდი ხნით დაგახსომდებათ საბჭოთა ქალი, მისი გულთბილი დიმილი, მისი ალერსიანი, მეგობრული სახე, მისი უმაგალითო ვაჟკაცობა და რწმენა. ეს ახალი ქალია — რევოლუციაში დაბადებული და სოციალიზმის მიერ აღზრდილი!

თარგმნა **დ. გველესიანმა.**

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი, რუსთაველის სახელობის—სამეტარძლო აფეშით, მარჯანიშვილის სახელობის—ზვავი, გრიბოედოვის სახელობის — პირველი გაზაფხული, სომხური დრამის — სასიძიები, მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნაკარქეია (აბონენტები № 3, 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — გზა მშვიდობისა (8 ს.), თოჯინების ქართული — მშვიდობის ფრთებზე (11 ს.), ჩექმებიანი კატა (2 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — დედა, ოქტომბერი, თბილისი, კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ერთ მშვენიერ დღეს, სპარტაკი, კომკავშირელი, დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი — გაცრუებული ოცნებები, კოლმეურნე—ორი ოკეანის საიდუმლოება, გორკის სახელობის კულტურის სახლი — სიყვარულის ასაკი, კომუნარების ბაღი — ტახირი და ზუხრა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს

პროგრამის მთლიანად გამოცვლა

გასტროლები

უდიდესი მუსიკალური ატრაქციონი

ლილიპუტები

„ჯადოსნური სიზმრების ღამე“

მსატვრული ხელმძღვანელი ფ. ს. კიჩორინერი. ახალი საციროკ პროგრამა 3 განყოფილებად ახლად ჩამოსული მსახიობების მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახლ.ირკის სალაროებში და ცენტრალურ თეატრალურ სალაროში, პლეხანოვის პროსპ. № 118.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

მეუღლე ფანია, დედა ხანა, შვილები რაფიელ, ნათელა, თამარ, ძმა შალვა, დები ლუბა, სარა ოჯახებით იუწყებიან

იაკობ იოსების-ძე იოსებაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-III, 8 ს. გამოსვენება 9-III, 3 ს. პირველი მაისის ჩიხი № 3.

მეუღლე მარიამ, შვილი ალექსანდრა, გაიოზ ცხოვრებაშვილი იუწყებიან

ვლადიმერ ანდრიას-ძე ჯვარიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-III, 8 ს. გამოსვენება 10-III, 4 ს. ბინიდან, დავითაშვილის ქ. № 7.

მეუღლე ვარვარა, ძმა გიორგი ოჯახით იუწყებიან

კირილე ნიკოლოზის-ძე ურუშაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-III, 4 ს. ლანჩხუთში.

დები ივლიონნ, თამარ, ძმები გიორგი, იუსტინე ოჯახებით იუწყებიან

ილიკო პორფილეს-ძე გუნიავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-III სოფელ კვალიანში (ზესტაფონის რაიონი).

შვილები გიორგი, გალინა, ძმა გრიგოლ ოჯახებით იუწყებიან

მიტროფანე ოქროპირის-ძე ახობაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-III, 8 ს. გამოსვენება 10-III, 4 ს. ბინიდან, კამოს ქ. № 47.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარეხსტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-42, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქხელოსა და პარტიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებლი—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77.70.

ფოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 00156